სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/144

ქ. თბილისი

10 სექტემბერი 2024წ.

„2024-2025 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ სიიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 17 ივლისის №01-05-04/115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 10 სექტემბრის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. „2024-2025 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ სიიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 17 ივლისის №01-05-04/115 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დანართის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ ენერგეტიკის ფაკულტეტის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 6-ით, ნაცვლად 5-ისა, ხოლო „ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 2-ით, ნაცვლად 3-ისა;

ბ) დანართის მე-6, მე-7 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის „გეოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 2-ით, ნაცვლად 3-ისა, „სამთო ტექნოლოგიების“ სადოქტორო პროგრამაზე - 2-

ით, ნაცვლად 3-ისა, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე „პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა“ მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 4-ით, ნაცვლად 2-ისა;

გ) დანართის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის „არქიტექტურის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 9-ით, ნაცვლად 6-ისა;

დ) დანართის მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 17-ით, ნაცვლად 10-ისა;

ე) დანართის მე-19, 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 22-ით, ნაცვლად 20-ისა, „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟენერინგის“ სადოქტორო პროგრამაზე - 2-ით, ნაცვლად 6-ისა, ხოლო „ბიოსამედიცინო ინჟინერიის (ინგლისურენოვანი)“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 7-ით, ნაცვლად 5-ისა;

ვ) დანართის 33-ე და 35-ე პუნქტებით გათვალისწინებულ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 13-ით, ნაცვლად 10-ისა, ხოლო „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 9-ით, ნაცვლად 12-ისა.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**